საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

14 03 2022 წ. №44 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების
დაფინანსების მიზნით კონკურსის (№2/2) გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების" პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად ვბრძანებ:

1.2022 წლის 14 მარტს გამოცხადდეს კონკურსი (№2/2) მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით წინამდებარე ბრძანების დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

3.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

Georgian National Film Center
საქართველოს კინოეროვნული ცენტრი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების

<u>კონკურსის პირობები</u>

კონკურსის გამოცხადების თარიღი
2022 წლის 14 მარტი

კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმ(ებ)ის წარმოების დაფინანსება.

ფილმის ქრონომეტრაჟი
ფილმის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

უფლებამოსილი კონკურსანტი, რეჟისორი და პროექტი

პროდიუსერი:
ეროვნულ კინოცენტრში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც არის ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი.

პროდიუსერს არ უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს მიმართ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება და არ უნდა იყოს რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

რეჟისორი:
პროექტის რეჟისორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც რეჟისორია ფილმის, რომელსაც მოგებული აქვს ეროვნული კინოცენტრის წარმოების დაფინანსების სხვა კონკურსი და დასრულებული არ არის.
რეჟისორმა კინოცენტრს უნდა წარუდგინოს სულ მცირე ერთი საკუთარი სარეჟისორო ნამუშევარი.

პროექტი:
კონკურსზე არ დაიშვება პროექტი, რომელიც მონაწილეობს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ სხვა კონკურსში.

<u>სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია:</u>

დანართი 1

1. ელექტრონული განაცხადი;
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ინდივიდუალური მეწარმისთვის და იურიდიული პირისთვის (განახლებული 2022 წელს);
3. ინფორმაცია ინდივიდუალური მეწარმისა ან იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ;
4. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლები;
5. პროდიუსერის ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული;
6. ფილმის რეჟისორის, სცენარის ავტორის და დიალოგების ავტორის ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები;
7. პროდიუსერის მოტივაცია;
8. პროდიუსერის წინა ნამუშევარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. რეჟისორის ხედვა და მოტივაცია;
10. რეჟისორის ერთი ან რამდენიმე ნამუშევარი ვიმეოს ან იუთუბის ლინკის ფორმით;
11. ფილმის სინოპსისი;
12. ფილმის სცენარი;
13. ფილმის ბიუჯეტი (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
14. ფინანსური გეგმა (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
15. საწარმოო გეგმა;
16. თანაპროდიუსერ(ებ)თან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით.

ეროვნული ფილმის ცნობა

სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია მოიცავს ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციას. პროდიუსერის მიერ სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაციის სრულად და უხარვეზოდ წარმოდგენის შემთხვევაში ეროვნული კინოცენტრი გასცემს ეროვნული ფილმის ცნობას.

დაფინანსება ეროვნული კინოცენტრიდან

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება ფილმის მთლიანი ხიუჯეტის 75%-მდე. დანარჩენი შევსებული უნდა იყოს დაფინანსების სხვა წყაროებიდან.

დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

სხვა წყაროებიდან დაფინანსებაში იგულისხმება: პროდიუსერის შენატანი, ტექნიკური

დანართი 1

შენატანი, ეროვნული, რეგიონული ან საერთაშორისო სახელმწიფო ფონდების გრანტები ან სუბსიდიები, სატელევიზიო და ინტერნეტ-პლატფორმების ინვესტიციები, ფიზიკური და იურიდიული პირების ინვესტიციები, დისტრიბუციის მინიმალური გარანტიები, ფილმის ავტორთა საჰონორარო შენატანი (ე.წ. დეფერმენტი), თუ ის არ აღემატება მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს და სხვა.

დოკუმენტაციის წარდგენის წესი

საკონკურსო აპლიკაცია და დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული პროგრამის „სინემატოგრაფი მენეჯმენტ სისტემის'' საშუალებით. იხილეთ ვიდეოგზამკვლევი: https://www.youtube.com/watch?v=Z33mYHxMudQ

დედლაინი

საკონკურსო პროექტები მიიღება ელექტრონულად 2022 წლის 20 აპრილის 17:00 სთ-მდე.

კონკურსის ეტაპები

კონკურსზე დარეგისტრირების შემდეგ ეროვნული კინოცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტი ამოწმებს დოკუმენტაციის სისრულეს და სისწორეს. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში კინოცენტრი უკავშირდება კონკურსანტებს და აძლევს 5 (ხუთ) სამუშაო დღეს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ფილმწარმოების დეპარტამენტი არ განიხილავს პროექტების მხატვრულ მხარეს.

ამის შემდეგ პროექტები გადაეცემა საექსპერტო კომისიას, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი. თუ პროექტი ვერ აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს, ის საექსპერტო კომისიას არ გადაეცემა განსახილველად.

საექსპერტო კომისიის პირველ სხდომაზე ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. კომისია ეცნობა პროექტის შეფასების კრიტერიუმებს და ქულათა სისტემას. საექსპერტო კომისიის წევრები ხელს აწერენ განაცხადს ინტერესთა კონფლიქტის არ-არსებობის და დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე.

საექსპერტო კომისიას ეძლევა გარკვეული ვადა პროექტების გასაცნობად პროექტების რაოდენობიდან გამომდინარე.

კონკურსის მომდევნო ეტაპი არის დათქმულ დროს პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება პროდიუსერებთან და/ან ავტორებთან, რის შემდეგაც კომისიის წევრები აფასებენ პროექტებს დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. ისინი პროექტებს ანიჭებენ ქულებს დადგენილი სისტემით და ასაბუთებენ მინიჭებულ ქულას წერილობითი შეფასების ფორმით.

საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით, რომლის ძირითადი ნაწილია ქულათა შეჯამებით მიღებული რეიტინგული სია. ამ დასკვნით ის რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში დააფინანსოს პროექტები რიგითობის მიხედვით. ამავე დროს კომისიას აქვს

უფლება, დაფინანსების რეკომენდაცია გაუწიოს პროექტების მხოლოდ გარკვეულ რაოდენობას ან არცერთ პროექტს.

საკონკურსო ფონდი

საკონკურსო ფონდი შეადგენს 250 000 (ორასორმოცდაათიათას) ლარს.

დასაფინანსებელი პროექტებისა და დაფინანსების ოდენობა

ეროვნული კინოცენტრი კომისიის დასკვნის საფუძველზე და თავისი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და ადგენს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას პროექტის შემომტან პროდიუსერთან ერთად ბიუჯეტის კიდევ ერთხელ დეტალურად განხილვის შემდეგ.

კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

საექსპერტო კომისიის მიერ დასკვნის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში ეროვნული კინოცენტრი აცხადებს კონკურსის შედეგებს, აქვეყნებს რეიტინგულ სიას, გამარჯვებულ პროექტებს და მათზე გამოყოფილი სუბსიდიების ოდენობას.

შეფასებების გამოთხოვა

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ კონკურსში მონაწილე ყველა სუბიექტს უფლება აქვს, საკუთარი პროექტის შეფასების თაობაზე გამოითხოვოს ინფორმაცია - ქულები და წერილობითი არგუმენტაცია. განაცხადი უნდა გაკეთდეს წერილობით პროდიუსერის ხელმოწერით. ინფორმაცია ცალკეული შეფასებების ავტორთა შესახებ დახურულია.

გამარჯვებულ კონკურსანტებზე სუბსიდიების გაცემის და ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები

გამარჯვებულ პროექტებზე გამოყოფილი სუბსიდიების მიღების და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით პროდიუსერი ვალდებულია **კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში** წარმოადგინოს კინოცენტრში ბიუჯეტის სრულად შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ნოტარიულად დამტკიცებული ასლები, უცხო ენაზე არსებული დოკუმენტების შემთხვევაში - ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანებიც), კო-პროდუქციის შემთხვევაში „კინემატოგრაფიული თანაწარმოების შესახებ ევროპული კონვენციით“ ან ბილატერალური შეთანხმებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტის ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილება ძალას კარგავს. წერილობით მოთხოვნას წარმოებაში შესვლის და ხელშეკრულების გაფორმების ვადის გადაწევის თაობაზე ეროვნული კინოცენტრი განიხილავს მხოლოდ დასაბუთებული არგუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

აუდიტის დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება

დანართი 1

პროდიუსერი ვალდებულია, წარმოადგინოს ლიცენზირებული აუდიტის დასკვნა როგორც ეროვნული კინოცენტრიდან გამოყოფილ თანხაზე, ისე სხვა წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

ხელშეკრულება

ხელშეკრულება კონკურსში გამარჯვებულ პროდიუსერსა და ეროვნულ კინოცენტრს შორის არეგულირებს პროდიუსერისა და ეროვნული კინოცენტრის ურთიერთობას ფილმის წარმოების პროცესში და მისი დასრულების შემდეგ. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მის შინაარსს, საგანს, თანხის გაცემის წესს, პროდიუსერის უფლებებს, პროდიუსერის ვალდებულებებს, კინოცენტრის უფლებებს, კინოცენტრის ვალდებულებებს, ხელშეკრულების ვადას, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ფორს-მაჟორის საკითხებს, დავის გადაჭრის გზებს, განსაკუთრებულ ვალდებულებებს, ასევე სხვა პირობებს და მხარეთა რეკვიზიტებს.
ხელშეკრულება მზადდება ეროვნული კინოცენტრის მიერ და ხელმოწერამდე გადაეგზავნება მეორე მხარეს გასაცნობად.

კონსულტაციები

სასურველია კონკურსანტებმა გაიარონ კონსულტაცია. კონსულტაციები ჩატარდება წინასწარი შეთანხმებით გამოცხადებიდან ყოველდღე ეროვნული კინოცენტრის ოფისში შემდეგ მისამართზე:
0105 თბილისი, სანაპიროს ქუჩა 4,
ტელეფონი: 2999 200; 2999 102.

საკონტაქტო პირები:

ნინო კუხალაშვილი (იურიდიული ასპექტები)
ტელეფონი: +995 577 955250 ელ. ფოსტა: n.kukhalashvili@gnfc.ge
სალომე დანელია (წარმოება და ფინანსები)
ტელეფონი: +995 599 428180 ელ. ფოსტა: s.danelia@gnfc.ge
მანანა მელაძე (წარმოება და ფინანსები)
ტელეფონი: +995 577 407539 ელ. ფოსტა: m.meladze@gnfc.ge
ანდრო წიკალური (წარმოება და ტექნიკური დახმარება)
ტელეფონი: +995 551 334000 ელ.ფოსტა: a.tsiklauri@gnfc.ge
გიორგი მოცრაძე (ფინანსური საკითხები)
ტელეფონი: +995 555 186565 ელ. ფოსტა: g.motsradze@gnfc.ge